

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს
ვებ-გვერდის (www.nbe.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და
ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 07 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.


Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო
www.nbe.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე შეიმჩნევა შემდეგი სახის ხარვეზები აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელობის შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან მიმართებაში:

- მართალია განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „თავმჯდომარე“, მოიძებნა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა, თუმცა სამწუხაროდ, მისი უფლებამოსილებათა ჩამონათვალი მოცემულია ძველი მდგომარეობით - არ არის მოყვანილი აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებით გათვალისწინებული, თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განმსაზღვრელ მუხლზე (მე-5 მუხლი), 2011 წელს განხორციელებული არცერთი ცვლილება-დამატება:

შთავარი

ჩვენ შესახებ

თავმჯდომარე

თავმჯდომარე



ნიკა მელია დაიბადა 1979 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში.

1996 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა.

1997-2002 წლებში დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2002-2003 წლებში მუშაობდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგანგებო დეპარტამენტში განომიხილად.

2005-2006 წლებში სწავლობდა ოქსფორდის ბრუქს უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე - მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

2007 წლის იანვრიდან 2007 მაისის ჩათვლით იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდგვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტის მრჩეველი.

2007 წლის მაისიდან 2008 წლის მარტამდე მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მრჩეველად.

2008 წლის სექტემბრიდან 2009 წლის მაისამდე მუშაობდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილედ.

2009 წლის მაისიდან 2010 წლის მაისამდე - აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსი.

2010 წლის მაისიდან 2010 წლის ივლისის ჩათვლით - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, არასამპტიზო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი.

2010 წლის ივლისიდან 2010 წლის ნოემბრამდე მუშაობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსად.


2010 წლის ნოემბრიდან დანინშნა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარედ.

ფლობს ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

დასაოჯახებელი

 - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის კომპეტენცია

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;



2. აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედი დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „აღსრულების ეროვნული ბიუროს სრული დასახელებაა: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო“. აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების ბეჭდებზე, ბლანკებზე, აბრეშებზე, სიმბოლიკაზე, ოფიციალურ დოკუმენტებზე, **ვებ-გვერდზე**, სხვა ნებისმიერ რეკვიზიტსა და საქმიან ურთიერთობებში შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს შემოკლებული დასახელების („აბ“) გამოყენება, მაგრამ ყველა შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიუროს დასახელება უნდა მოიცავდეს მითითებას „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო“. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით არც სრული, და არც შემოკლებული ხსენებული დასახელებები:



3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს ერთიანი სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულისა და ტერიტორიული ორგანოს – სააღსრულებო ბიუროს სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, საფოსტო მისამართები და ფაქსის ნომრები);

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს ელ.ფოსტის მისამართი (მაგ. info@nbe.gov.ge):

კონტაქტი:

მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი

ტელ: (+995 32) 749 649 / ფაქსი: 74 93 37

საფოსტო ინდექსი: 0131

ტერიტორიული ბიუროების მისამართები:

ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ.

ქ. ქუთაისი, სადგურის ქ. №3ა

ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №106

ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის ქ. იუსტიციის სახლი

ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი, იუსტიციის სახლი

ქ. გორი, სამეფოს ქ. №52

ქ. თელავი, ა. ფარდოშვილის ქ. №7

ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6


5. მართალია განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიზნები და ამოცანები“, მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნების, ფუნქციების და საქმიანობის საგნის აღწერა ტექსტური სახით და აღსრულების ეროვნული ბიუროს მთლიანი დებულების ბმულზე მითითებით, სადაც ბიუროს მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის საგნის განმსაზღვრელი მუხლი (მე-3 მუხლი) სამწუხაროდ მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, ქვე-განყოფილებაში გარეთ გამოტანილი ხსენებული ტექსტური აღწერაც, შესაბამისად, ნაკლულია:

The screenshot shows the website of the National Enforcement Bureau (NBE) of Georgia. The header includes the NBE logo and name in Georgian, along with navigation links for 'About Us', 'Functions', 'Activities', 'Contact Us', and 'English'. Below the header, there is a sidebar with a menu containing links to 'History', 'Goals and Tasks', 'Structure', 'Executive Functions', 'Enforcement Functions', 'Administrative Functions', 'Territorial Bureaus', 'Information System', 'Statistical Data', 'Annual Report', 'Contact Us', and 'Feedback'. The main content area is titled 'Goals and Tasks' and contains text that is outdated, mentioning the 'National Enforcement Bureau' and its functions. Below the text, there is a section for 'eAuction.ge' and a link to 'National Enforcement Bureau'.

➤ **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. ვებ-გვერდზე შეიმჩნევა შემდეგი სახის ხარვეზები აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურის შესახებ პროექტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან მიმართებაში:

- განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ მიზმული ფაილის სახით განთავსებული აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე) მოცემულია ძველი მდგომარეობით, რაც არ შეესაბამება დებულებით გათვალისწინებულ, ბიუროს სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების აღმწერ მუხლზე (მე-6 მუხლი) განხორციელებულ უახლეს ცვლილება-დამატებებს:



- არასრული სახით არის წარმოდგენილი განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამსახურები“ განთავსებული აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალიც - არ არის მოყვანილი შესაბამისი ინფორმაცია საქმისწარმოების სამსახურის შესახებ;

- სასურველია ქვე-განყოფილებაში სათაურად „სამსახურები“ მოიძიებოდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედი დებულებით განსაზღვრული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დეტალური აღწერა:

მთავარი	იურიდიული სამსახური
---------	---------------------



იურიდიული სამსახური აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულია.

მიზნები და ამოცანები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემის სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- აღსრულების ეროვნული ბიუროსა მისი ტერიტორიული ორგანოების სახელით კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელება საერთო სასამართლოებსა და სხვა ორგანოებში;
- აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება და სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის წარდგენა; აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული დავების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით გამოსაცემი, სამართლებრივი ხასიათის სახელმძღვანელო თუ სარეკომენდაციო მასალების მომზადება;

5. იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს:

- ა) აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემის სამართლებრივ მომსახურებას;
- ბ) აღსრულებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადებას და სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის წარდგენას;
- გ) აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული დავების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადებას;
- გ¹) აღმასრულებლის მოქმედებასთან დაკავშირებული საჩივრების თაობაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას; (17.01.2011 N 9)
- დ) გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან დაკავშირებით უცხო ქვეყნების გამოცდილების ანალიზს და ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების სრულყოფის მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენას; (7.04.2010 N 82)
- ე) სასამართლო ორგანოებში აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლობას;
- ვ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემის თანამშრომელთა ტრენინგებსა და სწავლებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას;
- ზ) აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით გამოსაცემი სამართლებრივი ხასიათის, აღსრულებასთან დაკავშირებული, სახელმძღვანელო თუ სარეკომენდაციო მასალების მომზადებას;
- თ) კომპეტენციის ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს

ამონაბეჭდი აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებიდან

- ქვე-განყოფილებაში სათაურად „სამსახურები“ არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების (უფროსების) კომპეტენციის ტექსტური აღწერა:

შეფასების სამსახური

აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის უფროსი



ნოდარ ყანჩაველი დაიბადა 1981 წლის 10 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

1999 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 53-ე საშუალო სკოლა.

1999-2004 წწ. - სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

2007- 2008 წწ. - დაამთავრა როტერდამის ერასმუსის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, მიენიჭა მაგისტრის ხარისხი ურბან-მენეჯმენტში.

2005-2006 წწ. - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობა, სოციალური განყოფილება, წამყვანი სპეციალისტი

2006-2007 წწ. - ძველი თბილისის გამგეობა, სოციალური განყოფილება, წამყვანი სპეციალისტი

2008-2011 წწ. - შპს "ერდო ჯგუფი", გაყიდვების განყოფილება, ბროკერი

2011 წლის 8 ივნისიდან დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის უფროსად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს

დასაოჯახებელი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ-ფოსტა: nkanchaveli@nbe.gov.ge

ტელ: (+995 32) 2 72 11 18 **შიდა** - 2206

- [შეფასების სამსახურის კომპეტენცია](#)

- ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

7. ვებ-გვერდზე შეიმჩნევა შემდეგი სახის ხარვეზები აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების შესახებ პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციასთან მიმართებაში:

- განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული ბიუროები“ არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს

ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების ტექსტური აღწერა;

- ქვე-განყოფილებაში სათაურად „ტერიტორიული ბიუროები“ არსებულ ბმულში „შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო“ არ არის მოცემული ინფორმაცია შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელობის შესახებ;

მთავარი

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ-ფოსტა:

მისამართები:

გორი, სამეფოს ქ. №52 **ტელ: (8 370) 2 7 93 40**

მცხეთა - სამხედროს ქუჩა №11 **ტელ: (8 32) 2 51 32 31**

დუშეთი - სტალინის ქუჩა №27

კასპი - აღმაშენებლის ქუჩა №82

ხაშური - ტაბიძის ქუჩა №2

ქარელი - სტალინის ქუჩა №24

სამოქმედო ტერიტორია:

გორის, კასპის, ქარელის, ახალგორის, ჯავის, ცხინვალის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.

სააღსრულებო მომსახურების საფასურის ანგარიში:

GE76 TB70 6666666666665

 - შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს დებულება

- ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული ბიუროები“ არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების ხელმძღვანელთა კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა;
- ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული ბიუროები“ არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების საფოსტო (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ელექტრონული ფოსტის მისამართები, აგრეთვე არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული ბიუროები“ სასურველია მოიძიებოდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს უკლებლივ ყველა ტერიტორიული ორგანოს - საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომერი;
- ქვე-განყოფილებაში „ტერიტორიული ბიუროები“ სასურველია მოიძიებოდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების - სააღსრულებო ბიუროების სამოქმედო ტერიტორიით განსაზღვრული უკლებლივ ყველა დანაყოფის:
 - ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მისი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
 - საფოსტო (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ელექტრონული ფოსტის მისამართი, აგრეთვე დანაყოფის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა;
 - საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომერი.

მისამართები:

ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №106 / ტელ: **(8 415) 2 2 07 61**

ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის №106 (ხობი)

ქ. მესტია, იუსტიციის სახლი, მის: გაბლიანის ქ. №1

ქ. ჩხოროწყუ სტალინის ქ. №2

ქ. ფოთი წმ. გიორგი ქ. №4 (I სართული)

ქ. აბაშა უჩა კაჭარავას ქ. №2

ქ. წალენჯიხა თამარ მეფის ქ. №49

ქ. მარტვილი ტავისუფლების ქ. №10

ქ. სენაკი აჯორჯამის ქ. №18

სამოქმედო ტერიტორია:

ქ. ფოთი, ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და მესტიის მუნიციპალიტეტები, ასევე ქ. სოხუმი და სოხუმის მუნიციპალიტეტი, ოჩაჩირის, გულრიფშის, გუდაუთის და გალის მუნიციპალიტეტები და გაგრის ზონა.

სააღსრულებო მომსახურების საფასურის ანგარიში:

GE65 TB70 55555555555533



- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს დებულება

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. ვებ-გვერდზე არსებულ ტენდერების არქივის მოძიება მომხმარებელთათვის თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საძიებო ფრაზის გამოყენებით განხორციელებულ მრავალსაფეხუროვანი ოპერაციებით:

9. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. ამ შემთხვევაშიც კი, თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არსებობის მანძილზე განხორციელებული პროგრამები ჯერ არ ჰქონია, მაინც სასურველია ხსენებული (ქვე-)განყოფილების არსებობა ვებ-გვერდზე, სადაც შესაბამისი ინფორმაციის განთავსებამდე იარსებებდა განმარტებითი ჩანაწერი მომხმარებელთათვის - „პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა“, „პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობა ჯერ არ მიგვიღია“ და მისთ.

10. სრულ განახლებას საჭიროებს ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული უმეტესობა აქტებისა მოცემულია ძველი მდგომარეობით, ხოლო ერთ-ერთი განთავსებული აქტი ძალადაკარგულია:

სააღსრულებო წარმოების ასლები

სამართლებრივი აქტები

ჩვენი საბანკო ანგარიშები



საქართველოს საპარლამენტო საბინა
"აღმოსავლეთის სიძეობა - მიღწევაში"
შპს "საპარლამენტო საბინა"
28-29 სექტემბერი, 2010 წელი

eAuction.ge

ელექტრონული აუქციონი



მომავალი რეკონსტრუქციის გეგმა



ელექტრონული კანცელარია



მთავარი > სასარგებლო ინფორმაცია > სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი აქტები

- საქართველოს კონსტიტუცია:
საქართველოს კონსტიტუცია
- საკანონმდებლო აქტები:
 - საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ
 - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
 - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
 - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
 - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
 - საქართველოს კანონი გადახდისუნარიანობის საქმის წარმოების შესახებ
- კანონქვემდებარე აქტები:
 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება
 - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N220 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ
 - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N221 "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
 - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის ბრძანება N 140 კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისათვის პასუხისმგებლობის დავის წესის დამტკიცების თაობაზე
 - აღსრულების ეროვნული ბიუროს შინაგანაწესი
 - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის ბრძანება N21 "იმულებითი აუქციონების ჩატარების ფორმისა და წესის დამტკიცების შესახებ"
 - საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის ბრძანება N 144 "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;
- არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეების მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;

- არ მოიძიება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:

ახალი ამბები

საკომუნიკაციო გეგმა

ხშირად დასმული კითხვები

ფოტო-გალერეა

ვიდეო-გალერეა

საერთაშორისო სამინარო
"აღსრულების სისტემა - მიღწევა
და გამოწვევა"
28-29 ნოემბერი 2011 წ. ბათუმი

ელექტრონული აუქციონი

მთავალი რამდენიმე

ელექტრონული კანცელარია

თნლაინ – კონსულტაცია

მთავარი საზოგადოებასთან ურთიერთობა ახალი ამბები

14 დეკემბერი 2011 წელი

აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები საბაზისო მომზადების კურსს გადიან

იუსტიციის სასწავლო ცენტრში აღსრულების ეროვნული ბიუროს სტაჟიორები საბაზისო მომზადების კურსს გადიან. 900-მდე მსურველი კანდიდატიდან ღია კონკურსის წესით შერჩეული 75 სტაჟიორი ორკვირიან ტრეინინგებს დეკემბრის ბოლოს დაასრულებს. სწავლების მიზანია სტაჟიორთა კვალიფიკაციის ამაღლება.

13 დეკემბერი 2011 წელი

აღსრულების ეროვნულ ბიუროში ევროკავშირის პროექტის ექსპერტებთან ერთად საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო სესია გაიმართა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დამოხილვების პროექტის - BESTT-ის ფარგლებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებისა და ევროპელი ექსპერტების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე განიხილებოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროს საკომუნიკაციო სტრატეგია, ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებები და სამომავლო გეგმები.

07 დეკემბერი 2011 წელი

იუსტიციის მინისტრმა აღსრულების ეროვნული ბიუროს წლის ანგარიში ჩაიბარა

7 დეკემბრს კაჭრეთში, სასტუმრო "ამბასადორში" აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი პირები იუსტიციის მინისტრს - ზურაბ ადგიშვილს და მინისტრის მოადგილეს - გიორგი ვაშაშვილს შეხვედნენ. მინისტრმა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2011 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში მოისმინა და უწყების სამომავლო გეგმებს გაეცნო.

12. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება „ანგარიში“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ განხორციელებული რეფორმების შესახებ 2010 წლის ანგარიში, სასურველია აქვე განთავსდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები [2011], და აგრეთვე 2010 წლამდე არსებული ყოველწლიური ანგარიშები:

ისტორია

მიზნები და ამოცანები

სტრუქტურა

თავმჯდომარე

მოადგილეები

სამსახურები

ტერიტორიული ბიუროები

საინფორმაციო ცენტრი

სტრატეგიული გეგმა

ანგარიში

ბიუჯეტი

სტატისტიკა

თნლაინ – კონსულტაცია

მთავარი ჩვენ შესახებ ანგარიში

ანგარიში

2010 წლის ანგარიში განხორციელებული რეფორმების შესახებ:

PDF

13. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აღსრულების ეროვნული ბიუროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. სასურველია, განყოფილებაში „პროექტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პარტნიორი ორგანიზაციები“ განთავსებულ აღსრულების ეროვნული ბიუროს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულებს თან ახლდეს პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა:

საზოგადოებასთან ურთიერთობა | **პროექტები** | სააღსრულებო წარმოება | საჯარო შეთხრობინება

ონლაინ – კონსულტაცია

მთავარი | პროექტები | **პარტნიორი ორგანიზაციები**

პარტნიორი ორგანიზაციები

აღსრულების ეროვნული ბიუროს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები არიან:



შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო



აღმასრულებელთა საერთაშორისო კავშირი



ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში



ამერიკის იურისტთა ასოციაცია



გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება



გაეროს განვითარების პროგრამა

15. ვებ-გვერდზე სასურველია არსებობდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება, სადაც განთავსდებოდა ინფორმაცია სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსების შესახებ,

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია არსებობდეს სამართლებრივი აქტების საძიებო სისტემა. ამასთან, სასურველია ხსენებული ქვე-განყოფილების მთავარ გვერდზე ბანერის სახით გატანა. ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია ყველა აქტი მოყვანილ იქნეს მოქმედი მდგომარეობით. აგრეთვე, სასურველია სამართლებრივი აქტების ბაზას დაემატოს აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ბიუროს თავმჯდომარის მოქმედი სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთან, სასურველია შეიქმნას განცალკევებული ქვე-განყოფილებები აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულებისა (რომელიც საჭიროებს განახლებას, ვინაიდან მოცემულია ძველი მდგომარეობით) და შინაგანაწესისათვის.

➤ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული ქვე-განყოფილება, რაც თავისთავად წარმოადგენს დადებით ფაქტს, თუმცა სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებას დაემატოს შემდეგის სახის ინფორმაცია:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები და ა.შ.);
- აღსრულების ეროვნული ბიუროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციას, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აღსრულების ეროვნული ბიუროს*

მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოდიფიკაციას იქნეს შემაღლეს ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/aqsrulebisburo_sajaroinfo.pdf);

- აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური სრული ანგარიში;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და ადმინისტრაციული საჩივრის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები:

საჯარო ინფორმაცია

სააღსრულებო წარმომადგენლის ასლები

სამართლებრივი აქტები

ჩვენი საბანკო ანგარიშები

საქართველოს სამინისტრო
„აღსრულების სისტემა - მიწისა და საზღვრების“
28-29 სექტემბერი 4. ბათუმი.

eAuction.ge

ელექტრონული აუქციონი

მოგაღება რეგისტრირებული

ელექტრონული განცხადება

ონლაინ – კონსულტაცია

მთავარი

სასარგებლო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის გაცემა

- საჯარო ინფორმაცია ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა სახელმწიფო, კომერციული და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა;
- საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას;
- საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაუფრთხილად ან კანონით დადგენილ შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღისა;
- მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში;

საჯარო ინფორმაციის ასლის გამოთხოვის შემთხვევაში გამოთხოვნი პირი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაყრდენის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეკისრება შემდეგი მოსაყრდენის გადახდა:

1. ასლი - ერთი გვერდი - 0,05 ლარი;
2. პრინტერზე ამობეჭდვა - ერთი გვერდი - 0,10 ლარი;
3. კომპიუტერული დისკზე ინფორმაციის ჩაწერა - 1 დისკი - 2,65 ლარი (კომპიუტერული დისკის წარმოდგენის შემთხვევაში ინფორმაციის ჩაწერა უფასოა);

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ლეილა მიქელაძე, საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმისწარმოების განყოფილება:

ელ-ფოსტა: lmikeladze@nbe.gov.ge


ტელ: (+995 32) 72 11 18 შიდა - 2052

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

19. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განცალკევებული განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“ შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით, თუმცა სასურველია მოცემულ განყოფილებას დაემატოს თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით) და თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა:



➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

20. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „ბიუჯეტი“ შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით, თუმცა სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებას დაემატოს აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/aqsrulebisbiuro_xelfasebi.pdf*
- აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/aqsrulebisbiuro_xelfasipremia.pdf);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ არშრულების ეროვნული ბიუროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

ისტორია
მიზნები და ამოცანები
სტრუქტურა
თავმჯდომარე
მოადგილეები
სამსახურები
ტერიტორიული ბიუროები
საინფორმაციო ცენტრი
სტრატეგიული გეგმა
ანგარიში
ბიუჯეტი
სტატისტიკა

ონლაინ – კონსულტაცია

მთავარი

ჩვენ შესახებ

ბიუჯეტი

ბიუჯეტი


1. აღსრულების ეროვნული ბიუროს 2010 წლის შემოსავლები და ხარჯები

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებები (2008-2010წწ.)

3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული ხარჯები (2008-2009წწ.) და 2010 წლის გეგმა


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდი მონიტორინგს დაქვემდებარებულ სხვა საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებთან შედარებით, საჯარო ინფორმაციის შედარებითი სიუხვით და მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობით გამოირჩევა, თუმცა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება გულისხმობს არამხოლოდ ამა თუ იმ სახის საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსების პრაქტიკას, არამედ უკვე განთავსებული ინფორმაციის მუდმივ განახლებას, რა პრობლემატიკაც, რიგ შემთხვევაში, აშკარად გამოვლენილ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდის კვლევის პროცესში.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდზე ტენდერების კატეგორია არსებობს, თუმცა ამ კატეგორიაში მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ საძიებო მოდულის დახმარებით. ტენდერების ბმული არ არის განთავსებული არც ვებ-გვერდის რუკაში და არც ნავიგაციაში:




➤ ძიება

ძიების მოდული არაკორექტულად მუშაობს. მაგალითად თუ ვებზე თუ ელექტრონულ ფოსტას ანუ ამ შემთხვევაში info@nbe.gov.ge შედეგები არარელევანტურია, შესაბამისად ძიების მოდული საჭიროებს დახვეწას:



➤ საკონტაქტო ფორმები და წესები


საკონტაქტო გვერდზე ჩასმულია ინტერაქტიული რუკა:



რომლის წარწერები რთული გასარჩევია. საჭიროა უფრო მკვეთრად დაიწეროს ტექსტი.

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდზე ვიდეო მასალა არაპრაქტიკულად არის განთავსებული. თუ ვიდეოს ვუყურებთ მცირე ზომის მონიტორით, მაგალითად ლეპტოპით, მაშინ ვიდეორგოლი არ ჩანს სრულად:



➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის ზოგიერთ სიახლეში გამოყენებული ძალიან დიდი ზომის სურათები. მაგალითად შემდეგი სურათი:



ეს სურათები რეალურად ბევრად დიდი.


მაგალითად პირველი სურათი:



დიდი რეზოლუციის სურათები ანელეზს გვერდის ჩატვირთვას, ასევე არასასურველია სერვერისთვის, რადგან დიდი სურათი შესაბამისად დიდ ადგილს იკავებს მყარ დისკზე;

➤ ონლაინ სერვისები

ვიდეო კონსულტაცია ძალიან სასარგებლოა ყველა მომხმარებლისთვის:



თუმცა ეს ონლაინ სერვისი სრულყოფილად ჯერ არ ფუნქციონირებს:

The screenshot shows a web form with three input fields and a submit button. Above the first field, there is a red 'X' icon and a message box containing the text 'გთხოვთ გადაამოწმოთ მონაცემები' (Please check the data). The form fields are labeled in Georgian: 'სახელი:' (Name), 'გვარი:' (Surname), and 'პირადი ნომერი:' (Personal Number). The first two fields contain the text 'ტესტ' (Test), and the third field contains the number '1421254124124'. The submit button is labeled 'შეცვლა' (Change).

იგი ითხოვს მონაცემების გადამოწმებს ავტორიზაციის დროს. იმ შემთხვევაში თუ სახელი და გვარი არ შეესაბამება მოცემულ პირად ნომერს, მაშინ უნდა გამოჩნდეს შესაბამისი შეტყობინება ვებ-გვერდზე. მონაცემების გადამოწმების შეტყობინება არ არის საკმარისი;

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის ცვლადები იფილტრება მკაცრად:

Forbidden


You don't have permission to access /index.php on this server.

რაც ძალიან სასარგებლოა ელ-რესურსის უსაფრთხოებისთვის;

➤ დამატებითი პარამეტრები

ვებ-გვერდზე ატვირთულია სურათები, რომელზეც გამოსახულია მონაცემები Bar Chart-ისა და Pie Chart-ის მეშვეობით. სასურველია, რომ სურათები განთავსებული იყოს პირდაპირ ვებ-გვერდზე და არა ისე, როგორც ეხლაა განთავსებული გადასასვლელი ბმულით:

2011 წლის ნოემბრის თვეში აღსრულებული საქმეების რაოდენობა
ბიუროების მიხედვით




ვებ-გვერდზე მარცხენა მხარეს მოცემულია ბანერები:



ყველა ბანერი ბმულის სახით არის წარმოდგენილი, თუმცა ზოგიერთი მათგანი არ ფუნქციონირებს (მაგ: სტატისტიკა, საინფორმაციო ცენტრი 2 749 649). იმ შემთხვევაში თუ ბანერი

მხოლოდ ტექსტური ინფორმაციის წარმოსაჩენად არის განთავსებული მთავარ გვერდზე ამ ხარვეზმა მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

ვებ-გვერდზე სოციალური ქსელის „Facebook“-ის მოდული ცუდად არის ჩასმული იგი სრულყოფილად არ ჩანს:



ვებ-გვერდზე თავმოყრილია სასარგებლო ონლაინ სერვისები და ფუნქციები, თუმცა როგორც რეკომენდაციაში დაიწერა ისინი საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას. ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ-გვერდში არსებობს წვრილმანი ხარვეზები, მაგალითად ისეთი როგორიც არის ტენდერების კატეგორია, რომელიც არც ნავიგაციაშია და არც ვებ-გვერდის რუკაში.